

თეატრი

1889 წ.

№ 34, 35 & 36.

ოქტომბრის 29.

გაზეთი ღირს: ვრთის წლით—5 მ. ნახევარის წლ.—3 მ. ცალკე ნომერი—15 კ.

წულის მოწერა და წერილების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Тифлис, Вторая Ижорная ул., д. № 9. Петру Миріанашვიли.

რედაქცია არ კისრელობს, წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნულ წერილებს უნდა ჰქონდესთ მოწერილ სახელი, გვარი და ადრესი ავტორისა.

ქართული საკვირთო გაზეთი

„თეატრი“

პრ. მ. ეალ 1890 წლის იანვრის თვიდან გაზ. თეატრის გაშოვა ახალ თანამშრომლების მონაწილეობით. რედაქცია ყოველ გერ ღონისძიებას მოიხმარს, რომ თაერის გაზეთი გააუმჯობესოს, როგორც შინაგანის, აგრეთვე გარეგანის მხრით.

გაზ. თეატრის ფაბი:

მთელის წლით 5 მ. ნახევარ ულით 3 მ. | თვიურად . . . 1 მ. თითო ნომერი. 15 კ

წელის-მოწერა მიიღება ამ ადრესით: Вь Тифлисѣ, книжный магазинъ Чарешани, Роману Панцхави.

ქართული თეატრის სამშაბათს, 31 ოქტომბრის ქართული თეატრის არცისტები წარმოადგენენ ბზა დეკრეულისი სსსმზაწნი

(Le pecorelle smarite)

კომედ. 4 მოქ, თხზ. ტეობალდო ჯეკონისა.

მონბაზნი

კომედ. 1 მოქმ., ა. ცაგარლისა. მოთამაშენი: ქ-სისი საბავროვისა, აკაკოვისა, შილიქიშვილისა; ბ-სისი აბაშიძე, გუნიბ, ცხვარული, ტედუკაშვილი, კანდილაკი და სხვ. ფუნჯი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.


სამეცნიერო საუკუყელი

მრავალმხარისი ისტორიისა *)

I

კაცთა საზოგადოების განვითარების შეგნება, იმისი წარსული ყოველ-ცხოვრების გონიერულად შესწავლა, თქმა არ

*) დედა-პისრი ამ წიგნდისა დამყარებულია დიურინისა, ფრანკლანტესა, მ-ვისა და სხვა მოახრეთა მსჯელობასე.



უნდა, საზოგადო მეცნიერებ-ს ერთს მეტათ საინტერესოსა და სასარგებლო საგანს წარმოადგენს. ისტორიკოს-კაცობრიობის ცხოვრების, წინაწივეულებია, ჭკუთა გონებისა, რწიქნათა და მოქმედებათა გამოხატველია დ იმპრომატ არს, რომ იმისი შინაარსი და ბნიშენლობა რთული და მძიმე საგანია გამოვით. აქედგან წარმოსდგება, უმთავრესად, ის ამბავი, რომ კაცთა განვითარებისთანა ღრმასა და დასაფიქრებელს რასმეს მხელადლა თუ შეხედება თანამედროვე მოაზრე და ჭეშმ.რატის, ღრმა ისტორიკოსის სახელი ჯერ კიდევ დღესაც სანთლით საძებნელია. საინტერესო და სასარგებლო მხარე ხსენებულის საგნისა იმაში მდგომარეობს, რომ ისტორია, როგორც უწყუარი გამოხატველი განვლილი ცხოვრებისა, განუხრწნელი და მტკიცედ შეკავშირებულია თვით კაცთა საზოგადოების განვითარებასა და წარმატებასთან. იმისი ჭეშმარიტი, ნამდვილი შეგნება—ცოდნა და ცოდნა ხომ თვით მუწეებითად მადლია და განხორციელებული სარგებლიანობა. სიძნელეს საგნისას-კი წარმოადგენს საზოგადო ცხოვრების ისტორიულ მოვლენათა მრავალ-გვარობა და ამ მრავალ-გვარობის შორის საიდუმლოდ, ფარულად დაარსებული კავშირის გამოძებნა. ამიტომაც, ისტორიადგან იღებდნენ ცხოვრების მხალოდ ერთს მხარეს, ესთქვით, მეუეებისა და კერის კაცების ამბავს და აქედგან გამოყავდათ ხალხის განვლილი სეუბედი და მწუხარება, იმისი ასეთი, თუ ისეთი ვითარება და ჭკუთ-გონების ზრდა. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, უფრო ადკილი გახადა გაისტორიო ფაქტების კვლევა და ძიება და, რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩვენი თვალის წინ მთელი ისტორიო თეორია აღშენდა. იგი წარმოადგენდა ვითომ ქვა-კუთხედს და სრულს ხატებას წარსული ცხოვრების შეგნებისათვის...

ისტორიული მოვლენების გამოსაკვლეველ ელემენტარული შემეცნება და ხმარება სამეცნიერო ძიებისა ნათლად გვარწმუნებს, რომ ჩვენ შეგვიძლია დაახლოვებული წარმოადგენა ვიქანიოთ და თითქმის გონიერადაც შევიკნოთ არა მარტო ხანიათი წარსულისა, არამედ მთელი გ.რე შემოზღუდული პი-

რობანი და—რაც ყველაზედ უფრო საჭირო და საეკონომიკურ-ლო არის — თვითონ მიზეზიც ცხოვრებაში მომხდარი მოვლენისა. თუ ჩვენ ეს მიზეზი ეიპონენთ და მოუწახნეთ მას დასაბამი, მაშინვე შევნიშნავთ და დავსკენით, რომ ამა და ამ გარემოებისა და მიზეზებისაგან, უქვეყლად, ესა და ეს ამბავი უნდა მომხდარყო და მაშინ ამ მოვლენას ჩვენ უწოდებთ კანონს. მთელი ბუნებისა და საზოგადო მეცნიერების მიზანი იმაში მდგომარეობს მხოლოდ, რომ გამოვიყვანოთ ისეთი საზოგადო კანონი, რომელსაც ყოველგან და ყოველს შემთხვევაში უნდა ექვემდებარებოდეს თვითთავი ამბავი და მოვლენა ორგანიულისა და არა ორგანიულისა, რომ ადამიანმა თავს სასარგებლოდ სამართლიანად მოიხმაროს და გამოიყვანოს ამ კანონების ცოდნა და შეგნება.

ეს უკანასკნელი ჩენი საუკუნე, სხვა დროსთან შედარებით, ძლიერ შევლის მეცნიერთა აზრის ამ გვარად მომართვას და დაწინაურებულ ერთა საუკეთესო შეილებს კვლევა-გონების ძალ-ღონე და შეძლებულება ამ „მწარე და დაწყველილი კითხვების“ აღსნაა და პასუხის გებას მიწყდა. თანამედროვე მოაზრენი ისტორიულს საზომით და კვლევით შეუდგნენ დღენდელი ვარამისა და აზრის დენას, იმათ სურთ თავი და ბოლო მოუწახნ განვითარების (ეკოლიუკია) იმ დრმა აზრს, რამელიც სამართლიანად შეადგენს მე-XIX საუკუნის დიდებას. ეს დრმა და უწაყაფიერესი აზრი განვითარებასა იპყრობს იმ სოციოლოგთა ყურადღებას, რამელიც ისტორიის ფილოსოფიისა და, აგრედ წოდებული, ეტიკის საკითხავების შემუშავებასა და შესწავლას შეადგომან...

დღეს ისტორიამ საჩინო ალაგი დაჭირა ფილოსოფიაში, იმ ფილოსოფიაში, რომლის დირსება და მნიშვნელობა პირველად განმარტა პოზიტივ-ისტების მამათ მთავარმა—ავიუსტ კანტმა... დაუსრულებელი ისტორიული განსაცდელისა და ყილის შემდეგ, იდეალისტთა სკოლა იმ მტკიცე აზრზედ შედგა, რამ თავისი წარმარებისა და წაყაფიერების დედა აზრად ისტორიული ელემენტი აღაარა და გამოკე-



ლგვის მიზნად — ისტორიის ფილოსოფია როდესაც ეს სკოლა თავის მსგეფლობის დროს უმწვერვალესობას მოწყდა, მაშინ იმისი გამოჩენილი წარმომადგენელნი და მსგეფური ისტორიის ფაქტებისა და ნაშრომ-ნაღვაწევის ძიებას შეუღებნენ. საფრანგეთის, აგრედ წოდებულ, ეკლექტიკების (კუზენი, გიზო და სხვ.) მთელი ღირსებაც შესანიშნავს ისტორიულს ძიებასა და კვლევაში მდგომარეობს. კონტის ფილოსოფიის უმთავრესი მიმდევარის, ლიტრეს აზრით, იდეალისტთა სკოლის ღირსება იმაში იხატება, რომ ამ სკოლამ „შექმნა მანქმდის დაუბადებელი მეცნიერება ისტორიისა და იქიდგან თან და თან ფილოსოფია გამოიყენა“. თკით კონტისა და ნამეტურ მთელი კრიტიკული აზრის საზაგადო მიმართულების გაეღენისა და ზედ-მოქმედების ქეეშ, რომელმაც გამოიწვია თვით, აგრედ წოდებული, პოზიტიური სკოლის განვითარებაც, სწერდენ უკანასკნელი დროის გამოჩენილი მოაზრენი ინგლისისა და ამერიკისა (დ. ს. მილლი, ლეკკო, გ. ბოკლი, გ. სპენსერი, დრეპერი და სხვ.). ამათ ხომ სრულიად ახალი კითხვები, ახალი შეხედულობა შეიტანეს ისტორიის შესაგნებლად. მთელი ძალ-ღონე მოაზრეთა ისტორიის ფილოსოფიურად ძიებასა და კვლევას დააწყდა...

ამ თეორეტიულს მოძრაობის გარეშეც ისტორია თავს ადგა და ჰფლოედა მე XIX საუკუნის მოქალაქობრავს ცხოვრებას. ყოველი მომქმედი, მამრძოლი პარტია ისტორიაში სჩხრეკდა და ეძიებდა მასალას, რომ თავისი პრაკტიკული მოთხოენილებათა სიმართლე და საქროევა დემეტკიცები-ურიცხვი და უნაყოფიერესი ნაშრომი, რომელიც მსწავლეულებს მკაცრისა და დაუზოგველის სამეცნიერო კრიტიკის ციცხლში გაეტარებინათ, საჯირითო მასალას შეადგენდა როგორც რეაქციონერებისა, ისე წარპატების მიმდევართათვის, რომ მომავალი რეოლიუციისა და გონების, ფილოსოფიის გამარჯვების წამი ედღესასწაულებიათ; ბუნების მეცნიერებაც წარსულში ეძებდა თავისი სიყმაწვილისა და სინორჩის საფუძველს, რომ იმაზედ ფეხი მაკრად მოედდა და ნაყოფიერ...



შრომა დაეწყო. დოკტორული ჯიბითივი-კი ისტორიულ კრიტიკად გადაიქცა. იმ დროს, როდესაც ბუნების მეცნიერება ნელ-ნელა იმარჯვებდა და მე XIX საუკუნეშიაც იმ მეთოდება სმარობდა, რომელიც მე XVII საუკუნეში მიუწყო დაუმკვიდრა მას ისტორია მთელის თავისის ნაწილებითა და შინა რჩით ახლად აღმენდა, ახალს წიდაგზედ დადგა და ახალს საქმიანობას საფუძვლებს შეემუშავა. ამ საქმეს, რასაკვირველია, დიდი შთოქა. დიდი ღვაწლი და მეცადინეობა დასჭირდა და აი ახლა, ამ ბოლო დროს, წიენი თვალის წინ გამოჩნდა თვალ-გაღუწვდენელისა და საზღვარ დაუღებელის მეცნიერების სარზივლო, სადც ერთდებიან ბუნების მეცნიერნიცა და ისტორიკოსნიც, საერთო ძალ-ღონითა და შედლებულებით უნდათ წაყუამონ საქმე ჭკუა-გონების ზრდისა და წარმატებისა.

რა შედეგი ჰქონდა ევროპიელთა აზრის ასეთს მიმართულებას? რამდენად შემუშავდა კაცობრიობის ჭკუა-გონებისა და აზრის გამოხატველი—ისტორია, იმისი შინაარსი და საფუძველი, რასდენად განაწილდა დალაგდა ის მასალა, რომელიც წინანდელ მაწაელულთა ნაშრომით და ნაღვეწევით მოგროვებულა? მოკლედ რომ ესთქვათ: რამდენად მიუახლოვდა მეცნიერებას სახეს, ტიპს ისტორია. ესე იგი, ის მეცნიერება, რომელიც გვიანტავეს კაცთა საზოგადოების წარმატებას და რა ჭზნით, რა საშუალებით შეუძლია მას მიუახლოვდეს ამ აზრის გამხატვლებს? სომეღელი.

(შემდეგი იქნება)

კაცთა-საზოგადოების განვითარება *)

როდესაც არც ერთმა ხალხმა ცეცხლის ხმარება არ იცოდა, მაშინ თვითეული ადამიანი აკეთებდა იმას, სასაც სხვა

*) დედა-აზრი ამ წერილის უკვე ად, სმიტსაც შეგნებულმა ჰქონდა, მარჯსმა ახსნა: იმ თი ეკრძაბას ქალქების სახით, და ლიპურტი და სხვანი ღდიჯაბენ იმითივე ახსნას კაცობრიობის სვლა აუციდან ბოლომდე.

აკეთებდა, და არ იყო განსხვავება, ასე გასინჯეთ, მამაკაცი-
სა და დედა-კაცის მოქმედებათა შორისა. როგორც კაცი,
ისე ქალაც ნადირობდა. იარაღები ქონდათ ქვის. რადგანაც
ნადირი ტყეში და ველში გაფანტულია, ამიტომ ხალხიც და-
ფანტული იყო. ცოლ-ძმარი თავისი შვილებით დახეტიალობ-
დნენ ცალ-ცალკე და თუ ორი ოჯახი ერთმანერთს შეეყრე-
ბოდა, მათ შორის მაშინვე ასტყდებოდა ჩხუბი და გა-
მარჯვებულები იქვე შეთქვლევდნენ დმარცხებულებს. არ იყო
არც უფროსი, არც უმცროსი. ყოველი ადამიანი სწორი იყო
სხვისა. მაგრამ ამის მაგიერად არც საზოგადოება იყო, და ადა-
მიანები, როგორც მხეცები, ისე დახეტიალობდნენ გაბნეული
ტყე-

მაგრამ ეს ველური ადამიანი მხეცზე მაინც უფრო მალა
იღვა ერთი რამ თვისებით, რომელიც იყო და არის დღესაც
პირველი და უმთავრესი იარაღი განათლებისა, და ეს თვისება
იყო გონება. ადამიანს რომ მეტი გონება ქონდა მხეცზე, ეს იქიდან
სჩანს, რომ იმას ქონდა უკვე მოგონებული სხვა-და-სხვა ქვის ია-
რაღები, რომელნიც მარებოდნენ იმას მხეცებთან, სხვა ადამიანთან
და საზოგადოთ ბუნებასთან ბრძოლაში, მხეცებს-კი თითქმის
არაფერი არა ქონიათ რა და არც ახლა აქვთ რაიმე მსგავსი ია-
რალისა. ამ ბრძოლაში ადამიანის გონებამ თან-და-თან იმატა.
მართლაც და ნადირობა გონებას გვარიანათ ავარჯიშებს: უნდა
იკოდე ყოველ ფინველის ჩვეულება და ხასიათი, უნდა
იკოდე ტაროსის გამოცვლის ნიშანი, უნდა გქონდეს კარგად
შესწავლილი ყოველივე ალაგი ცალ ე და უნდა იკოდე, თუ
რათ იზიდავს ესა და ეს ალაგი ცხოველს ანუ ფრინველს, უნდა
გამოიგონო ოსტატური მანებები და სასროლი იარაღები და სხვა-
ნი. აგრეთვე მუდმივ ერთმანერთში ბრწოლას უნდა ესწავლებინა
ამ პატარა ადამიანის ჯგუფთათვის დიდი ხერხი და ოსტატობა.
გარდა ამისა ადამიანი ამ დროს გარეულ ხილებსაც სჭამდა: მა-
შასაღამე საჭირო იყო მისთვის ცოდნა მცენარეების თვისებისა.
აქედან სჩანს, რომ ადამიანის გონება მუდამ მოძრაობდა და
თან-და-თან მატულობდა მაგრამ მარტო რომ ნადირობაში იყოს

კაცი გართული, ეს არ იკმარებს გონების ამაღლებისათვის. როცა კაცო ნადირობაში ძალან გაოსტატდება, მაშინ მისთვის გონების წყურთა საჭირო აღარ იქნება და შეჩერდება. აქსნით მაგალითით ჩვენი აზრი. სანამ ხურობას ისწავლაღე, გონებისა და სხეულის ასოების ვარჯიში საჭიროა, მაგრამ როცა ხურობაში გაოსტატდები, მაშინ ისე დაუწყებ სახლს კეთებას, რომ ზედ ერთ წვეთ გონებასაც არ დაახმარ. თუნელა მუშაო. შენა გონება კიდეე მოქრობს, შენ კიდეე რალცა სხვა ფიქრები მოგდის თავში და თუ ჩქარა მუშაობ, ყოველ ნაირი ფიქრი დაგეკარგება. მონადირეებსაც ასე დემართებოდათ. სანამ ნადირობაში გაიწვრთნებოდნენ, გონება ემატებოდათ, და ნადირობაში რომ გაიწვრთნენ, გონების წარმატება შეუწერდათ. მართლაც და მთელი დღე სულ სანადიროთ დახეტილობდენ და რამე ახალი აზრი რა ნაირად უნდა მოსელოდა მათ თავში.

მაგრამ თავის უწინდელ სამშობლოდან რამოდენიმე ადამიანთა ჯგუფი სხვა ქვეყანაში გადასახლდა, საცა ნადირი მენი იყო და ჰავაც უკეთესი. აქ, ამ ახალ სამშობლოში ადამიანს მეტი მოკლა ქონადა, რომ თავისი გონება კიდეე აღემაღლებინა.

ბოლოს მისი ჭკუა იმდენად ამაღლდა, რომ იმას შეეძლო ახალი რამესი აღმოჩენა, რაც ყოველად შეუქლებელი იყო პირვანდელი გაუხსნელი გონებისათვის. თავისი გაძლიერებულ გონეით ადამიანი დაუკვირდა იმ გვარ გარემოებას, რომელსაც უწინ ზედაც არ შეხედავდა. იმან ხეხა ერთმანერთზე ორი ხე (აღმათ ან თავის შექცევისთვის ან იარალის გასაკეთებლათ) და ამ ხეხვისა გან გაჩნდა ცეცხლი. რომ უწინდელი ჩლუნგი გონება ქონებოდა, ადამიანი ამ ნაირათ ცეცხლის გაჩენას ყურსაც არ ათხოვედა, მაგრამ ახლა-კი მთელი თავისი გონება ამ მოვლენას შაქცია და ბოლოს განუსაზღვრელის სიზარულით აუწყა სხვა ადამიანთა რომ ცეცხლის გაჩენა ჩვენ ხელთ არისო და ამისათვის საჭიროა მხოლოდ ორი ჯოხის ერთმანერთზე ხეხვაო.

ცეცხლის გაჩენის შემოღების გამო ძირიანათ შეიცვალა ზაზოგადოების წყობილება. უწინ ხომ ქალიც იმას აკეთებდა, რასაც კაცი; ახლა ქალმა ერთ საქმეს მიჰყო ხელი და კაცი



სხვას: ე. ი. ქალმა აირჩია საშინაო საქმეები: ცეცხლის ნთება, საქმლის მზადება, თანსაცმლის კეთება და სხვა ამ გვარი ხელსაქნარი; მამაკაცმა-კი საკუთრად ის ხელობა, რასაც უწინ დედაკაცთან ერთად აღვა, ე. ი. ნადირობა და ომი. აქ უნდა შევნიშნათ, რომ თუმცა ჩვენ დროში ომსა და ნადირობას დიდი განსხვავება აქვთ ერთმანერთში, მაგრამ იმ დროს კაცისათვის ომი იგივე ნადირობა იყო, რადგანაც ომის საგნად კაცის მკამელობა ქონდა, მაშასადამე, რადგანაც ცეცხლის შემოღება სხვა იმ გვარი ხელსაქნარი გამოიწვია, რომელიც უწინ არ არსებობდა, და რადგანაც, ამის გამო საერთო საშრომი ქალისა და კაცისა უფრო რთული შეიქმნა, ამიტომაც ქალმა და კაცმა გაინაწილეს ეს საერთო შრომა. ქალმა ერთი საქმე მიიჩინა კაცმა-კი მეორე. ავხსნათ კიდევ უკეთ. თუ რა საქმე იყო ეს ცალკე შრომა? ნუ თუ უწინდელურად ქალსა და კაცს ერთსა და იმავე დროს არ შეეძლოთ ერთად ნადირობა, ერთად ომი, ერთად ცეცხლის ანთება და ერთად ხელსაქმობა? დიანაც შეეძლოთ, მაგრამ ბევრს იზარალებდნ და აი რსთი: 1) ესტკეოთ ცოლ-ქმარმა ნახევარ დღეს ერთად შეუდგა ცეცხლის გაჩენას ჯოხების ერთმანერთზე ხეზეთ, ცეცხლი იმ გვარი რამეა, რომ ერთი ნაპწკალით, თუ მოინდომე, მთელ ქალაქს გადწვამ. მაშასადამე, ორი კაცისაგან ცეცხლის გაჩენა ტყვილა დროს დაკარგვა იქნებოდა: ამ საქმისათვის ერთი კაცი საკმარისი იყო. 2) რაც შეეხება საქმლის წვას, ხელსაქნარის კეთებას და სხვა ოჯახობას, ამ გვარი საქმეებისათვის საჭიროა მხოლოდ მუდმივი შრომა და თითების სიმარდე. სხეულის სიმარდე და დიდი ძალა კი აქ გამოუღვევარია; მაშინ როდესაც ნადირობაში აუცილებლად საჭირო ეს ორი უკანასკნელი თვისება, ე. ი. სიმარდე და ღონე და თითების სიმარდე და ჯაჯა ისე გამოსადევი არ არის. მაშასადამე ქალი, რომელიც სიმარდით და ღონით ჩამოუყვარდებოდა კაცს, ბევრს ვერაფერს შეეწევოდა იმას ნადირობაში, და ოჯახისათვის-კი იგი მეტი გამოსადევი იქნებოდა კაცზე. ამიტომ ქალმა აირჩია ოჯახობა, კაცმა ნადირობა, ე. ი. თვითუფლებათვის შესაფერი საქმე. ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო, ტყვი-



ლა არ ამბობს ქართული ანდაზა. ა) როდესაც ერთი და იგივე კაცი ერთს ღროს ათასწაირ საქმეს მიეღება, არამედ ამოიჩინებს ერთს რასმეს, იგი ამ ერთს საქმეს კარგათ შეისწავლის და კარგათ წაიყვანს. კაცს რომ კიდევაც ენადირნა და საოჯახო საქმეებიც ეკეთებია, ვერც ერთში ვერ იხეირებდა: ვერცნადირო. ბაშიგაოსტატდებოდა და ველარც ოჯახობაში.

გ. წ—ლი-

(ჰუმევი იქნება)

ჟურნალ-გაზეთების ძამიხილვა

(„ივერია“ №№ 213, 225 და 226)

გ. შ. „ივერიაში“ იბეჭდება ბ. ნ. გ. შაიაშვილის მეტად საყურდღებუ წერალი—ჩენი ძეკელი და ახალთაობა: „შესახებ. ავტორი იკვლევს ჭიზებებს ჩენი თავობის დაცემისას და ხატავს იმ სამინდვლს სურათს ამ უკანასკნელი ათის წლის დაქვეითებისას რაშელიც დაბადა და თავზედ წაიკიდო ცხოვრების მწარე განსაცთვლმა და იმისმა უკუ მრთვა ტრიალმა ჩენ ამ საგულისხმუ სავანზე ცალკე, განსაკუთრებულია წერალი გვექნება მკმდევიათვის და ეხლა კი აღნიშნოთ კითხილშობილი და მოაზრე მოღე წის წერილია ის ნათელი ახ. რი, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

„ისტორიის ზედ-მოქმედება ერთაში კრებულია თითოეულის კაცისა ცალკე ღონისა და უღანობისა და სხვა არა-რა. ამ მხრით თითოეულს კაცს დიდი და პატიოსანი საქმე აქვს წალ-ხლომილი ისტორიაში: კაცს შეუძლიან ისტორიის დებმაროს, ხარხები მააშოროს და სიარული გითუდგოლოს, შეუძლიან გაასწოროს გამარჯდებული სელო ისტორიისა, იქით მიმართოს გზა მისი, საითაც უყუთოს და სასურველია. ბალოს და ბალოს საზოგადო ნარიშს არა აკლდება რა, ამაოდ არა იკარგება-რა: არც ისა, თუ ვინმე მხნედ და მღვიძარებთ ჩაერა ამ წუთი-სოფლის საქმეებში, არც ისა, თუ ვინმე სუ-

ლოთა და ხორცილ მოშვებულმა თავი მოარიდა მამულიშვილობის მოვალეობას. ერთიცა და მეორეც, მოქმედებდა და არ-მოქმედებდაც, ღონცა და უღონობაც აუცილებლად დაეცუობა საზოგადო მდინარეობას ცხოვრებისას და ამ სახით თითოეულს კაცს ცალკე დაჩინდება ზოგადი ხასიათი ისტორიის ზედმოქმედებისა იმისდა მიხედვით, რა უფრო ჭარბად არის საზოგადოებაში, მოქმედება, თუ უქმობა, ღონე, თუ უღონობა.“

და აი სწორედ, როდესაც ასეთი ბრწყინვალე აზრი იღვიძებს ჩვენში და იგი ნელა-ნელა ფეხს იკიდებს, ამ დროს „ივერიის“ მეფეელეტონე, ბ. სანო, რას ჩასახსნის თავის მკითხველს საზოგადოებას, იმ საზოგადოებას, რომელსაც-თვით მეფეელეტონის აზრით-„საღათას ძილში უპოვნია სიტკბოება, საზოგადო გულის პასუხები ამოურეცხია“.

„ჩვენ „ივერიელნი“ მუხლს ვიდრეკთ წინაშე ქამთა-ვითარებისა და ვერსაით ვერ გაქცევივართ, ვერ დაესხლეთივართ გარემოებათა მძლავრს კლანჭებსო.“ იმის მაგიერ, რომ ერთად ერთი ქართული გაზეთი, შეძლებისა და გვარად, გულწრფელად და სინდისიერად ემსახუროს თავის ვალდებულებას და უკეთესი და საკუთრადი გზა დიკვალი გაუკაფოს ჩვენს დაქვევითებულს ცხოვრებას, პირდაპირ გამოდიან და იძახიან: „ქამთა-ვითარების რისხვამ დაგვაშინა და სურვილითაც-კი ვერ ვისურვებთ იისგან „გაქცევისა და გარემოებათა მძლავრი კლანჭებისაგან დასხლეთასო“ კარგია, თქვენმა მშვემ, ასეთს სინიროზის ხმაზედ სიმღერა. კარგია ნამეტურ იმიტომ, რომ ამას არც ღმერთი გიწყენთ და არც კაცი.

თუ მთელი ჩვენი საზოგადოების ტენი და ცხოვრება გაყინულია და „ამ საზოგადო მღვთმარეობისა და ქამთა ვითარების წინაშე მხოლოდ მუხლ მოდრეკილნი დგებიან“ და ისე შესტკერით ცას, მაშ ადვილად წარმოსადგენია, გაავითარების რა ხარისხზედაც უნდა იდგეს თქვენი საკუთარი გონებითი და ზნეობითი ძალ-ღონე. მაშასადამე, თქვენ, როგორც პირაპირი შეილი ჩვენი გაყინული ცხოვრებისა...

თქვენ მიერ უთაებლოდ წამო სროლილი სიტყვებით თავის თავად გაკეთდა ასეთი სათუო სილოკიზმი და იმის აზრის დასკვნას ვერაად წაუხვალთ ვერას გზითა.

ახლა, ამის შემდეგ, ბ. სანოს კადეე უკერს, რომ „თეატრმა“ მას სიტყვა „იკონება“ მიაკრა პირზედ. ნუ თუ სალიტერატურო ზნე-ჩვეულებასა და ღირსებს აკლებს რა-მეს ის, რომ რიგე ნივთსა და შემეცნებას თავის შესაფერი სახელწოდება მინასაკუთრო? აფსუსი კია, რომ ბ. სანო სალიტერატურო ღირსებაზედ ჩვენ გვიკითხავდეს მოძღვრებას, მაგრამ რა გაეწყობა: სანომ იცის, რომ „ქართული საზოგადოების ტენიი სალათას ძილშია ჩაფლული,“ ხერხიანად სარგებლობს ამ გარემოებით და, რაც მოადგება ენაზედ, რასაკვირველია, მოურიდებლად ისერას.

შემდეგ ბნი სანო განავრძობს:

«ქართულმა მწერლობამ... უნდა ხან საფლაეებისკენა პირი ჰქნას და არხეოლოგიურის გამოძიებით დაანახოს უტყუარი საბუთი ჩვენის დიდებისა (!) რადგან ხშირად ბევრი საფლაეი უფრო ძრიელ აღძრავს საზოგადოებურს თავმოყვარეობას... ხან უნდა ჩასჭიდოს ხელი ისტორიას და გამოჰკითხოს ის მიზეზები, რომელთაც ასე დაუნდობლივ დაამხეს ძირს აყვავებული და სვეტაკი (?) დიდება (!?) ჩვენის ქვეყნისა, რადგან ხშირად მიზეზის გაგება უშველებელი ნაბიჯია, წარმატებისაკენ გადადგმული. ხან უნდა მიჰმართოს ამ მასალას, რითაც სულდგმულობს ჩვენი ხალხი... ჩვენ შეძლებისა და გვარად ვემსახურებით საგანს სწორედ ამ მხრავ.»

ტრახანსა და თავისი თავის ქებას, მოგეხსენებათ, კიტრის ფასი აქვს, მაგრამ ასეთის რახითა და თავ-მოწონებით ჯერ სანდალასა და სანოს მეტს არ დაუჩემებია ჩვენში მოქმედება. თუ თავისი თავისა არა სჯერა, თავის ამფსონებს და ძმა ბიჭებს მაინც ჰკითხოს ბ-ნმა სანომ, რომელი საისტორიო და სარქეოლოგიო, ანუ ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და გონების ვითარებაზე დასწერა რამე. გარდა ამისა, თქვენ თვითონ ბრძანებთ (უკაცრავად იკონებას აღარ ეხმარობთ),

რომ დროა და ჟამს ჩვენ უჩიობას ვერ გავუწევთ... ჩვენ ყოველთვის ვლყურებთ, ჩვენს თვის, როგორც მარტივს დღიურს მუშა“ და სხვ... მაშასადამე თქვენვე აღიარებთ, რომ ხბოლოდ მარტივი დღიური მუშა, ესე იგი, ერთი საბრალო მაჩინალა რეპორტიორი ბჭანდებთ და აბა, თქვენ რაკ არ იცით, სხვას ჰკითხეთ და გეტყვიტ, რომ რეპორტიორი ვერასოდეს ვერ მისწევდბა ისტორიკოსის—მეცნიერის ჰკუთვონებისა და ანალიზის თვისებას ძალას. თუ ღმერთი გწამთ, ერთს ქერქში დადევით, მარტის დღესათუთ ფერს ნუ იცვლით. ეინ გატანსთ ძალას? თუ „უჩრალო მარტივი დღიური მუშა“ ბრძანდებით, ისტორიას და არქეთლოგიას ჭყუილად ნუ ებლაუქებით. თქვენ ამ მეცნიერების ინჩიც არ იცით.

ჩვენს რომ აქას წინად საზოგადო საყვედური გამოვსთქვიო „ივერიის“ შესახებ, რომ „ივერია“ უფერულია და სიცოცხლის მოკლებული თქო, ბნმა სანომ საბუთი მოგვთხოვა, „ექეილობის მოწმობა“ და, მაშასადამე, ექვი შემოიტანა ჩენი სიტყვების სიმართლესე. მაგრამ თქვენ გავიკვირდბათ, რომ ამ სანოს მიერ შეყვარებულს „ექეილობი მოწმობას“, „ორიოდე წინადადების შემდგე, თვით ბნ სანო გვაძღვეს ხელში: „უფერულია ჩვენა შრომა, მაგრამ რაკ იქთ, როდესაც თვით ცხოვრებთ ერთიან გაზუნებულიათ... ჩვენც ამას ვამბობდით, რომ უფერულია და, მაშასადამე, უსიცოცხლო თქენი შრომა, თქენი სასაცილო ფრაზების რიზინი და გვიკვირს, ჩვენ რალას გვიკვირებდბა—კაცს სრულიად დაწყევტილი უნდა ჰქონდეს ლოლიკური მსჯელობის სიწყბი, რომ თვითეულს ნაბიჯის გადადგმამხედ პითია სავით ასე წინააღმდეგებოდეს თავის თავს და საკუთარს პირადობას იმათრახებდეს.

ჩენი საზოგადოება „სალათას ძილშია ჩაეარდნილი“ და თქვენც, ბ. სანო, „წარმატების უშეველებელი ნაბიჯის“ გადასადგმელად და ეროვნული გრძნობების გასაღვიძებლად ზღაპრები და ლექენდები უმღერეთ მს, რ. დგანაც, თქვენის აზრით, „ლექენდბასა, ანდაზებისა და ზღაპრების შეკრებბა და

ბეჭდვა უპირველესი საქმეა ჩვენის მწერლობისა.. “ ნეტავი თქვენ, რომ თქვენი ნიქოს შესაფერ ხელობისათვის მიგიგნათ ზღაპრებს და ლევენდებს მნიშვნელობას ჩვენ ვაუაებთ ჩვენი ვინაობის გამოსაკვლევად, მაგრამ თქვენს ხელში ეს საქმეც სრულიად გაქუჭყიანდა.

ახლა ერთს წუთას ყუჩი დაუვდოთ, თუ როგორ ესმის ბ. სანოს ევროპის სასოლოიკო საქმეები. „დღეს ბედი მთელის ევროპსა და ნახევარ ზიისა იმაზე ჰკიდი, თუ როგორ გათავდება ეს გასაშტერებელი ამხედრება დიდთა და პატარა სახელმწიფოთაო!..“

„ივერიის“ „მარტივს დღიურს მუშას“ გადუწყებია ბედი მთელი ევროპისა და ნახევარ აზიისა. იმის სიტყვით, დიდთა და პატარა სახელმწიფოთა ერთმანერთზედ ამხედრებით ევროპის ბედი და, მაშასადამე მთელი დაწინაურებული კაცობრიობის განათლება, ანუ ცივილიზაცია შეძლება, ძირიანად აღმოიფხვრას დედამწის ზურგიდან. ამ გეგმა უზრობა ჯერ, ევონებ, არც ერთს ქუთაჩა მყოფელს არ წარმოუთქვამს დედამაწაზედ. სრულიად უვიცი ევროპიელთა საშინაო ყოუა-ცხოვრებისა, იგი მემდეგ ასე განაკრძობ :

„ევროპიელ მკითხველს ესმის თავზარ დამკვი მდგომარეობა, რომელნიც იმყოფება ცა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკისა, და ამიტომ გულის ძაყრით ადვენებს თვალს ყოველსავე ღრუბელს, რომელნიც პოლიტიკური ქარიხალი გადაატარებს ამ ცაზე, და კაი, ყველასთვის სანდომი გაზეთიც ის არის, რომელსაც შერო მეტი შეძლება და უნარი აქვს, რომ არ გამოეპაროს არც ერთი საყურადღებო ამბავი სახელმწიფოთა აეკარკიანობისა და სახელმწიფოთა კაცთა გარჯამოღვაწეობისა.“

ეს ყალყზედ შექდგარი გაკრიალებული ფრაზების პერიოდი რომ ყირამალა წამოცილოთ და მდამო, გასაკების სიტყვებით განემარტოთ, აი, რას დაკინახავთ: თვითოეული სახელმწიფო გარდაქცეულა მხოლოდ სამხედრო ბანაკად; ჰაერში გაისმის მხოლოდ ირადის ქლერა; ყველა მოელოდება

საშინელს სისხლის-რღვნას; მთელი ევროპის საზოგადოება სამხედრო საქმეებით არის გაცუცებული და კაი, ყველასთვის სანდომი გაზეითც ის არის, რომელიც მხოლოდ ომზე ლაპარაკობს და სახელმწიფოებას სამხედრო ძალებს ერთმანერთს უდარებს და უწონავს.

აი, სწორედ ამერაკის აღმოჩენა ამასა ჰქვიან! ქვეყნას დღემდის ასე ეგონა, რომ ევროპაში ყოველს სახელმწიფოს სამხედრო საქმეებზედ ბევრად უფრო რთული და ღრმა მნიშვნელობის საქმეები შინვე აქვს, და რომ ევროპის საზოგადოება შინაურს კულტურულს, მოქალაქეებრივს ბრძოლას უფრო მეტს ყურადღებას აქცევს, ვიდრე საგარეოს; გარდა ამისა, ევროპაში სახელმწიფოთა შორისაც ბრძოლა მარტო ფართა და ხრკლით-კი არ არის, არამედ უფრო მომეტებულიად კაპიტლისტური წარმოებოთა და მრგვწელობით, რომელსაც თავის საკუთარი კანონები და ძალ-ღონე აქვს აღიარებული დღეინდგოს მსოფლიო ყოფა-ცხოვრებაში.

აი, ცხოვრების ამ უკანა-კნელს საქვს, მეტად მნიშვნელოვან და მნიშვნელოვან საცე კითხვებს აძლევს უპირატესობას და იმის რთულს შინაარსიანობას დაბრძენებულის გონებით ჩაპკვირვებია დღეს ევროპაში მკვირცხლი ტენისა და ქკუა-გონებით განვითარებული კაცობრიობა.

უმეტესი ნაწილი ევროპიელთა ქურნალ-გაზეთებისა სულ იმას როდი გაიძახის: „სისხლი, სისახლიო!“ იგი ემსახურება ერთს აღებულს საზოგადო პრინცი, ამ პრინციპის თვალთ უყურებს, ზომავს და იკვლევს ქვეყნის საშინაო სამოქალაქო კითხვებს, ეკემთება თავის მოპირდაპირეთა ბანაკის გაზეთებს და ესარჩლებიან ერთ-ერთს სასურველად დასახულს იდეას. ბ. სანოს გაკრალბებული, ყალბი ფრაზების აზრი რომ ნამდვილი იყოს, მაშინ ერთი სახელმწიფოს სუყველა ქურნალ გაზეთები მხოლოდ ქეორე, სხვა სახელმწიფოს სულ ყველა გაზეთების მოკამათე უნდა იყოს, მაგრამ, მის და საუბედუროდ და კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ეს ასე არ არის; ევროპის ყოველს სახელმწიფოში დაწინაურებული სა-

ზოგადოება სხვა და სხვა, თითქმის ერთი ერთმანერთის წინააღმდეგ ბანაკად არის დაკოფილი, თვითეულს ბანაკს თავისი საკუთარი დედა აზრია ასულდგმულეებს და, თავისი პრინციპი რომ დაცვას, თავისი საკუთარი გაზეთი აქვს, რომლის საშუალებით ებრძვის სხვა პრინციპების, სხვა დასების გაზეთებს.

ეგროპიელთა აზრის ამ ნაირს ვითარებაზედ თქვენ, რასაკვირველია, დაახლოებულნი წარმოდგენაც არა გაქვთ.

სანოს აზრით, დღეს ეგროპის ჟურნალ-გაზეთები მხოლოდ «შეთოფ-იარაღებაზე, ბისმარკის ცხვირის დაცემინებაზედ, ბულანჯე კალპის ხელის მოკადებაზედ» დაპარაკობენ და სხვაზედ არასფერზედ.

«გაზეთების ფურცლები აჭრელბულია საპალიტიკო ანდაზებით, ანეკდოტებით, მოთხრობებითა და დამჯდარ მოსაზრებით. მკითხველი თან ერთობა ამისთანა ნაწერებით, თან ჭკუასა სწავლობს და საქვეყნო საქმეებზე ფიქრობს».

ახლა ხომ მაინც ხედავთ, სადამდის მივიდა ბ. სანოს გაკრიკლებული ფრაზების გრუხუნო! შეთოფ-იარაღების საპალიტიკო ანდაზები, ანეკდოტები, მოთხრობები ეგროპიელი ჟურნალ გაზეთების მკითხველს ჭკუას ასწავლის და საქვეყნო საქმეებზე აფიქრებსა.

მიკვირს, ჩვენი განთქმული მ მულის შვილი და საიკიდულო მ აღეწე ბატ. ილ. ქაქუაიძე, თავის ნათელს ყურადღებას არ აქცევს, რომ თავის გაზეთის ფურცლებზედ ასეთს უაზრობას აძლევს ადგილს...

სომეხელი





ზოგჯეს

ნუ შეშინდები, ზოგჯერ,
 ძენს კულში დგაღავს სიძნობლე,
 და როგორ უნდა არა სიქო,
 ბხელს რომ სჯობია სინათლე.

იქ სიდი როგორ არ გ'სდომ,
 სად გ'ზა არ იქოს ს'ვალთ,
 ვადს რომ ს'დევდევ უკ'სითა,
 აღუშებოდეს მრბვალთ,

როგორ გააქრობ საჩიველსა
 სედავდევ გ'ზა დაბნეულთა
 და იქო სქის მკურნალთა,
 არ მისცევ მკობ სხეულთა.

იქ ცრემლი როგორ არ წ'გსქელს
 მესკ, რომ იას ჭქელავდეს,
 და მჭლით მამარი მსუქნი
 ისევ რომ მჭლეკა სწველაძდეს.

ძენი კლავი იქნებას
 სიძნობლის რბოლი მის დერმა
 და კულში მტკიცედ ვაქნება
 სეფთვის ჯვარცმულის ანდერმა.

დ. ზ.

რედაქტორ-გამოცემელი ა. ნებაურაძე.